საქართველოს მთავრობის

დადგენილება №679

2019 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/04/2016, 010240020.10.003.019256) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3

1. სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების მხარჯავმა დაწესებულებებმა საინვესტიციო პროექტების მომზადებისას უზრუნველყონ ამ დადგენილებით დამტკიცებული გზამკვლევით გათვალისწინებული პრინციპების დაცვა იმ პროექტებთან მიმართებით, რომელთა წინასწარი შერჩევის ეტაპი იწყება ამ დადგენილების ამოქმედების შემდგომ და საორიენტაციო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5 მილიონ ლარს.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული გზამკვლევის პრინციპები არ ვრცელდება პროექტებზე, რომელთა განხორციელების თაობაზე წინასწარი გადაწყვეტილება მიღებულია ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე ან მიმდინარეობს მუშაობა ამ გადაწყვეტილების მისაღებად.

3. ეთხოვოთ ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების საფინანსო ორგანოებს, კოორდინაცია გაუწიონ აღნიშნული გზამკვლევის დანერგვის პროცესს.“.

2. მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 მუხლი:

„მუხლი 3^1

1. შეიქმნას ამ დადგენილებით დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევით გათვალისწინებული საინვესტიციო პროექტების მართვის უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – უწყებათაშორისი კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე/მოადგილეები, რომელიც/რომლებიც კურირებს/კურირებენ საბიუჯეტო და ფისკალური რისკების მიმართულებებს;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე/მოადგილეები, რომელიც/რომლებიც კურირებს/კურირებენ ეკონომიკური პოლიტიკისა და ანალიზის მიმართულებას;

გ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე/მოადგილეები, რომელიც/რომლებიც კურირებს/კურირებენ მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობისა და დეცენტრალიზაციის მიმართულებებს;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, რომელიც

კურირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიმართულებას;

ე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, რომელიც კურირებს სოციალური დაცვის პოლიტიკას;

ვ) სსიპ – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს ხელმძღვანელი.

2. უწყებათაშორის კომისიაში მუშაობა, საჭიროებისამებრ, ეთხოვოთ საქართველოს სამინისტროების, მუნიციპალიტეტების ან/და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირებს.

3. უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

4. უწყებათაშორისი კომისია, ამ გზამკვლევით მისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით, უფლებამოსილია, განსაზღვროს მისი მუშაობის წესი და, პროექტების შეფასების პრიორიტეტიზაციის მიზნით, ქულათა მინიჭების კრიტერიუმების სისტემა.

5. დაევალოს უწყებათაშორის კომისიას, 2020 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს, საინვესტიციო პროექტების შეფასების პროცესში გამოყენების მიზნით, დისკონტის განაკვეთის განსაზღვრის წესი.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი №1).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**